შაბათი, 12 მაისი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 101

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: გლისაბედ. ქ. № 1

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ"

21/ნ-65
1

# 300,000
# 150,000-ად
# ახსნა 13 მაისს

(10—83—1)

---

თეკლე პეტრეს ასული რცხილაძე, მარიამ დავითის ასული და ვარლამ როსტომის ძე ჯაფარიძე, და იროდიონ სტეფანეს ძე რცხილაძე ღრმად შეწუხებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი—შვილის, მეორე—ძმის, მესამე—ცოლიძმის და მეოთხე—ბიძაშვილის

**ივანე დავითის ძის რცხილაძის**

გადაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ბარიათინსკის ქუჩაზე სახლი № 4. გამოსვენება შაბათს, 12 მაისს, დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში და შემდეგ დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

---

ქვრივი ეკატერინე დიმიტრის ასული ფურცელაძისა ქალებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას 13-ს მაისს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მის მეუღლის ექიმ

**ქაიხოსრო სოლომონის ძის**

და უდროოდ დაკარგულის შვილის

**თამარის**

სულის მოსახსენებლად, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში. წირვა დაიწყება 10 საათზე. (2—1)

---

ანნა ნიკოლოზის ასული, ელენე და თამარ ზაქარიას ასულნი, გიორგი და ალექსანდრე ზაქარიას ძენი ჯაფარიძენი და სოფიო ჟირარდე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველნი საყვარელ ქმრის, მეორენი—ძვირფას მამის და უკანასკნელნი—ძმის

**ზაქარია თეიმურაზის ძის ჯაფარიძისას.**

დაკრძალვა 13 მაისს ქ. თელავში.

---

# იაფი ვაჭრობა
## ცოცხა ზნით
# „პარიზის მაღაზია"
## დამზადებულ საქონლისა
# ძმ. საფარიანცების და ტერ-საკოვისა.

ფასები საქონელზე დანიშნულია იმდენი,

რამდენიც ქარხანაში ღირს და იმაზე ნაკლებიც.

ვთხოვთ ყველას დარწმუნდეს პირადად.

# ფასები შეუვაქრებლად.

(5—85—1)

---

ქ. ქუთაისში

**ბავშვების ექიმი ბადრიძე**

ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—17)

---

**ექიმი**

**კ. ი. ბძელიშვილი**

იღებს **შინაგან, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწულოვისა. (25—27)

---

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—100

---

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ექიმი

**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

ექიმი

**ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—48)

---

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (35)

---

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—108)

---

ქ. ქუთაისში

**ექიმი დ. ვ. ფანცხავა**

იღებს საბებიო, ქალის და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 8—12 საათ. საღამოობით 5—7 საათამდე. ქარავან-სარაის ქ., სახლი ადამიასი (25—კვ—9)

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და **ბავშვებს. ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—4)

---

ფოთის ვაჟთა

# გ ი მ ნ ა ზ ი ა

ამით აცხადებს, რომ კლასებში შესასვლელი და მოწმობების მისაღები გამოცდა ხსენებულ გიმნაზიაში მოხდება შემდეგის წესით: 21 და 22 მაისს I კლასისა, 23—მოსამზადებელ კლასის უფროსს განყოფილებისა, 24—მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებისა 26—მე-II კლასის და 28 მაისს—მე-III კლასისთვის. (3—6.—3)

---

**საარტისტო საზოგადოების თეატრი.**

ქართული წარმოდგენა

ოთხშაბათს, 16 მაისს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა

# სოფელი

პიესა ოთხ მოქ. სვ. ყიფიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ.ქ. ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, გამყრელიძე, ივანიძე, **ნინო ჩხეიძე,** ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, იმედაშვილი, სვიმონიძე, გ. ყიფიანი, ჩარკვიანი, შათირიშვილი, როდანიშვილი, მატარაძე და სხ.

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8½ საათზე.

(4—უ—1) რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

---



# ყურადღება!!!

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების „როსსია"-ს წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერ-კავკასიისათვის ტფილისში მთავარ ფოსტამტის მეზობლად. ადრესი: Тифлисъ, Троицкая у., д. № 7, по сосѣдству съ главн. почт.-телегр. конторы.

(50—73.—9)

---

ქუთაისის ქალთა გიმნაზია.

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეორე და მეოთხე კლასებში შესასვლელად და ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოწმობის მისაღებად მოხდება ამა წლის 26 მაისს. დაწვრილებითი ცნობები ეგზამენების შესახებ გამოკრულია გიმნაზიის შენობაში.

თხოვნებს ეგზამენების დაჭერის შესახებ საჭირო მოწმობებით (მოწმობანი მეტრიკული, წოდებისა და ყვავილის აცრის შესახებ) მიიღებს გიმნაზიის უფროსი 20 მაისამდე (ამ დღესაც). თხოვნები უმოწმობებოდ განხილული არ იქნება. (3—6—3)

---

**ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის** სამართველოსთან დაარსებული კერძო კომისია ამით აცხადებს, **რომ 15 მაისს, სამშაბათს დილის 9 საათზე დანიშნულია**

# საჯარო ვაჭრობა
## ხის მასალისა

სასულიერო სასწავლებლის ეზოში, არქიელის გორაზე. მასალა შეიცავს: ლამფებს, კოჭებს, ფიცრებს, სარტყლებს, გადასაკიდებს, საძირკვლებს, კარებს, ფანჯრებს, ჟესტის სახურავს და სხვა წვრიმალს. ყველა ეს მასალა არჩეული ფიჭვის ხის და წაბლისაა. მასალა გაიყიდება ერთათ და ცალ-ცალკეც.

კომისიის თავმჯდომარე ტრიფონ ჯაფარიძე. (10—კვ.—3)

---

ტფილისის ქალაქის

# გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ დაბეჭდილი საარჩევნო საბოლოო სიები (ქალაქის საბჭოს ხმოსნების ამოსარჩევად 1907—1911 წლისათვის) მესამე საარჩევნო ნაწილისა, რომელიც შესდგება მე-8, 9 და 10 საპოლიციო ნაწილებისაგან, აგრეთვე წესები და ინსტრუქციები არჩევნების მოსახდენად და ბლანკები სახმოსნო კანდიდატების ჩასაწერად—მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში 11 ამ მაისიდან დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. (3—6.—1)

---

კვირას, 13 მაისს, სოფ. მცხეთაში მამულოვის გამგეობით წარმოდგენილი იქნება

# ორი ძმირი

და ვოდევილი

**„კიმოთეს ლეღვი",**

თარგ. გრიშაშვილისა.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ფასები ჩვეულებრივზე დაკლებულია, მონაწილეობას მიიღებენ სცენის მოყვარენი. (1—1)

---

# ქ. ქუთაისი

კვირას, 13 მაისს კლუბის დარბაზში სამეურნეო სასწავლებლის საავადმყოფოს სასარგებლოდ გაიმართება საღამო

**განყოფილება I.**

რუსულს ენაზე წარმოდგენილი იქნება ჩეხოვის 2 მოქმედებიანი ხუმრობა „Предложеніе". მონაწილენი: ქ. მანოვისა, ბ. მანოვი და ნიკონოვი.

**განყოფილება II.**

ქართულს ენაზე: „დატრიალდა ჯარა", ვოდევილი 1 მოქმედებად კ. ყიფიანისა. მონაწილენი: ბ.ბ. დადიანი, ბალანჩივაძე, ზარდალოვი, მურვანიშვილი და სხ.

**განყოფილება III.**

დივერტისმენტი: მონაწილენი: ბ. ბ. კროტკოვი, დ. მესხი, ვ. ბალანჩივაძე, შ. დადიანი.

**განყოფილება IV**

ცეკვა და ლოტო

დარბაზში მოწყობილი იქნება „სუნოვანი შადრევანი". ბუფეტში იქნება სამეურნეო სასწავლებლის ძველი ღვინოები.

გამგენი: **შ. ვ. ჩიქვაიძისა, ე. ა. გოკიელოვისა.** (1—უ.—1)

---

მასწავლებელ ქალთა საზოგადოება

(პუშკინის ქუჩა, № 3, საკრედიტო საზოგადოების სახლი)

**მასწავლებელი ქალები** აძლევენ გაკვეთილებს, ასწავლიან ყველა საგანს, ადგილობრივ და ტფილისს გარედ. (15 - 3)

---

ტფილისი, 12 მაისი

სამი თვეა აგერ, რაც ჩვენის ქვეყნის წარმომადგენელნი მოღვაწეობენ სახელმწიფო სათათბიროში, და ამ ხნის განმავლობაში სავსებით გაამართლეს ჩვენი წინასწარმეტყველობა, რომ ისინი თავიანთ პარტიის წარმომადგენელნი იქნებიან და არა იმ ქვეყნისა და იმ ხალხისა, რომელმაც ისინი აირჩია. ჩვენი დეპუტატები ბევრს სცდილობენ—ღირსეულად უწინამძღვრონ სრულიად რუსეთის ს.-დემოკრატიის პარტიის ფრაქციას პარლამენტში, ღირსეულად და სავსებით დაუქვემდებარონ თავისი მოღვაწეობა ც. კ—ის დირექტივებს; მთელი მათი მეცადინეობა პარტიის გამდიდრებაზე, მისი სახელისა და ავტორიტეტის ამაღლებაზეა მიმართული. არ ვიცით, რამდენად მადლიერია პარტია მათი მოღვაწეობისა, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ბევრს სცდილობენ, ისე ცდილობენ, რომ თავისი ქვეყანაც სულ დაავწიყდათ.

გვეტყვიან, რუსეთის ს.-დემოკრატიის საპარლამენტო ფრაქცია მთელის სახელმწიფოს საქმეს აკეთებს და, მაშასადამე, კერძოდ ჩვენის ქვეყნისასაო. გვესმის სიდიადე ამ პრინციპისა, გვესმის დიდსულოვნება ჩვენის დეპუტატებისა, რომელნიც მთელის სახელმწიფოსათვის იღვწიან, მით უმეტეს, რომ უბედურს რუსეთს თავისი საკუთარი მოღვაწეები არა ჰყავს; მაგრამ ვერ გაგვიგია—ნუ თუ არ შეიძლებოდა ჩვენის ქვეყნის ამბები და მდგომარეობა **მასალად** მაინც გამოეყენებინათ ჩვენს წარმომადგენლებს, როცა სრულიად რუსეთის საქმეებს არიგებენ?! ყველა დამეთანხმება, რომ, როგორც მასალა მაინც, ჩვენი მდგომარეობა გამოსადეგია საპარლამენტო მოღვაწისათვის. ჩვენმა დეპუტატებმა, მართალია, თავი ისახელეს ორატორობით, მაგრამ არა გვგონია, რომ მათთვის თავის მოჭრა იქნებოდა, „საზოგადო გამოსვლების" დროს თავის ქვეყნისა და ხალხის ჭირ-ვარამით დაესაბუთ-დაესურათ ხატებინათ თავიანთი სიტყვები. ამით ჩვენ მაინც გვარგებდნენ

რახმეს, თუნდ იმას, რომ მთელი რუსეთი გაიგებდა ჩვენს გაუბედურებას, ჩვენს დაჩაგვრას, ჩვენს ჭირ-ვარამს..

პოლონეთს, პოლონეთის საქმეებს რუსეთი ათასწილად უფრო უკეთ იცნობს, ვიდრე ჩვენს ქვეყანას (ამაზე წარმოდგენაც არა აქვთ); მაგრამ პოლონელი დეპუტატები ყოველ შემთხვევით სარგებლობენ, რომ რუსეთის **საერთო ჭირ-ვარამი** თავის ქვეყნის ცხოვრებიდან ამოღებულ სურათებით გაანათონ, დაახასიათონ. როცა ლაპარაკი იყო ბიუჯეტზე, დეპ. ჟუკოვსკიმ პოლონეთის შესახების ცნობებით საზარელი სურათი წარმოადგინა რუსეთის საფინანსო მეურნეობისა; როცა ჯერი მიდგა აგრარულ საკითხზე, დეპ. გრაბსკიმ რუსეთის ბიუროკრატიის პოლონეთში ბატონობის მთელი სურათი დახატა; როცა სიტყვა ჩამოვარდა საერთო სწავლა-განათლების შემოღებაზე, პოლონელმა დეპუტატმა სათათბიროს უამბო ალმაშფოთებელი ამბავი იმისა, თუ როგორ სდევნიდნენ და სდევნიან პოლონურ ენას, სკოლას, მთელ კულტურას და სხვა და სხვა. აუარებელის ფაქტებით ხელში, პოლონელი დეპუტატები თვით რუსის საზოგადოებასა და ოპპოზიციას უადვილებენ საერთო საქმეს: აცნობენ პოლონეთის მდგომარეობას და იმავე დროს მთავრობის პოლიტიკას ამჟღავნებენ მყორე, უცნობ მხარედან. და წარმოიდგინეთ ეს არა-თუ არავის საწყენად არ რჩება, პირიქით პოლონელ დეპუტატებს მთელი სათათბირო გულმოდგინედ უსმენს; თუმცა „კოლო" ბურჟუა-რეაქციონერებისაგან შესდგება, მაგრამ მემარცხენენიც უხვად აჯილდოვებენ მათ ტაშისცემით; ალბათ ჩვენებიც ივიწყებენ მაშინ, რომ ორატორი „საზიზღარი ნაციონალისტია, ავტონომისტია, ბურჟუა და ფეოდალი"...

არც ჩვენი ქვეყანა მისცემდა ნაკლებ მასალას ჩვენს დეპუტატებს: ჩვენი სკოლა, ენა, ჩვენი მშრომელ ხალხის ეკონომიური ვითარება, ჩვენი განადგურება-დევნა, რუსეთის მფლობელობის ისტორია ჩვენში—ყოველივე ეს ხომ მთელი მარტიროლოგიაა, დაუსრულებელი სულისკვეთება აბუჩად აგდებულ და დაჩაგრულის ხალხისა! მთელი რუსეთის წარმომადგენელთათვის არ უნდა ეთქვათ, არ უნდა აეხსნათ, არ უნდა აეწერათ ყოველივე ეს? განა მეტი იქნებოდა და განა ეს **საერთო საქმესაც** არ შემატებდა? მაგრამ უბედურება ისაა, რომ დოგმით გამოძღარ და ფრაზებით გაჟღენთილ „პარტიის კაცებს" შიშის ზარი იპყრობს მაშინვე, როცა თავისი სამშობლო გაახსენდებათ: ვაი-თუ ვინმემ პატრიოტობა დაგვწამოსო, და უმალვე „სრულიად რუსეთის სახელს ეფარებიან ხოლმე. მხოლოდ ერთხელ დასძრეს კრინტი ჩვენმა წარმომადგენლებმა საქართველოზე: ეს იყო „შეკითხვა ლანჩხუთის დამსჯელ რაზმის შესახებ; მაგრამ, ვაი ამ გახსენებას: შეკითხვა იმდენად სუსტად არის დასაბუთებული, ვგონებთ, რომ მთავრობას არ გაუჭირდება გამარჯვება. უბედურება ამაზე მეტი იქნება: მართლა აწიოკებულსა და გავერანებულს ქვეყანას საბუთები შემოაკლდა, როცა რუსეთს გამოელაპარაკა თავის აწიოკება აოხრებაზე?!..

## კიდევ დასავლეთ საქართველოს გაჭირვების შესახებ.

(წერილი ქუთაისიდან)

თვეზე მეტია, რაც მთელს დასავლეთ საქართველოში ნამი არ ჩამოვარდნილა. სიმინდის თესვა, რომელსაც აღდგომის კვირაში შეუდგა ხალხი, შესწყდა. ხალხი იმის მოლოდინშია, რომ გაავდრდება და შეუდგება სიმინდის თესვას. უკანასკნელ კვირაში აღმოსავლეთის ქარი ჰქრის და ამან სულ გამოაშრო მიწა. საეჭვოა, რომ ნათესი სიმინდი ამოვიდეს. თუმცა გვალვა გაზაფხულზე ხშირია, მაგრამ მას აქეთ, რაც იმერეთში სიმინდის ჩრჩილი გაჩნდა, იგი ნამდვილი დამღუპველია მოსავლისთვის. სითბოსთან ერთად სიმინდს უჩნდება ჩრდჩილი და რადგან თესვა დაგვიანდება გოლვის გამო, იმიტომ გლეხი ძალა უნებურად მიწაში ჩრჩილიან სიმინდს ჩაჰყრის. ამით ნათესის გახარების შანსი საგრძნობლად მცირდება. ამას გარდა გვიან დათესილი სიმინდი გვიანაც მოვა და დამშეულ ხალხის მდგომარეობა უფრო უარესი იქნება.

სამეგრელოდან მოსულნი ამბობენ, რომ შიმშილი დღითი დღე ძლიერდებაო. თუ აქამდის ფუთი სიმინდი 50—60-ად იყიდებოდა სამეგრელოში, დღეს დღეობით მანეთადაც ვერავინ იშოვნის. ხალხი სოფლიდან გაიხიზნა სამუშაოს მოსაპოებლად, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ სამუშაოსაც ვერსად იშოვნის.

სიმინდის სიძვირე საყოველთაოა—ზემო იმერეთშიაც მანეთად და მეტადაც ფასობს ფუთი სიმინდი. რაჭაში სიმინდი 1 მ. 20 კ. ასულა. ამისთანა პირობაში მთავრობა გაიძახის, რომ სამეგრელოში შიმშილი არ არისო. ერთ ადმინისტრატორს, როგორც გვითხრეს, მორცხვად განუცხადებია, რომ ხალხი მეტის გადასახადებისაგან უკიდურეს ეკონომიურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი და ამას იქით ვეღარაფერს გადაიხდისო. ისეთი საყვედური მიუღია უფროსებისაგან, რომ ეხლა თურმე მტვერს ადენს ზურგზე ხალხს გადასახადების კრეფით.

არა ერთხელ აღგვინიშნავს ის გარემოება, რომ მეგრელნი, მიუხედავად შიმშილობისა, საკვები თანხიდან სესხის აღებაზე უარს ამბობენ. ეხლა, როგორც გვითხრეს, რამდენსამე საზოგადოებას სენაკის მაზრისას განუცხადებია სურვილი სესხის აღებისა. დიდად უნდა გასჭირვებოდა მეგრელ გლეხს, რომ სესხის აღება ესურვა მაშინ, როცა დარწმუნებულია, რომ თავისი ფული, სესხად აღებული, ერთი ორად და სამად გადახდება, ამასთანავე ცემითა და ტყეპით. ჩვენ სულაც არ გაგვიკვირდება, თუ ეხლა ადმინისტრაციამ უარი უთხრა სესხის გაცემაზე საკვებ თანხიდან; ამით იგი ბოლომდინ გაატარებს თავის აზრს, რომ სამეგრელოში შიმშილი არ არის და ხალხი ფუფუნებაშია.

**მგზავრი.**

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**სათათბიროს სხდომა** 10 მაისს სხდომა დაიწყო 2 ს. 10 წუთზე, გოლოვინის თავმჯდომარეობით. სიტყვა მოითხოვა კელეპოვსკიმ. მან იკითხა, რატომ აქამდე არ გამოქვეყნდა 6 მაისს შეტანილი ორი სწრაფი შეკითხვა სამ დეპუტატის დათხოვნის შესახებაო. თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეკითხვები დეპუტატ რეინის თხოვნით არ გამოქვეყნდაო. შემდეგ კელეპოვსკიმ სთქვა, საჭიროა ეხლავე გამოვუცხადოთ გაკიცხვა პოლიტიკურ მკვლელებსაო. თავმჯდომარემ შეაჩერა: დღევანდელ კრებაზე მაგაზე ლაპარაკი არ შეიძლებაო. კელეპოვსკიმ მაინც განაგრძო. ბოლოს თავმჯდომარემ სიტყვის თქმის ნება აღარ მისცა.

შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: შემოტანილ იქნა ორი ვადიანი განცხადება კელეპოვსკის, საზონოვიჩის და პურიშკევიჩის განდევნის შესახებ. ამ განცხადებაში კრიტიკაა სათათბიროს დადგენილებისა, ამიტომ განხილულ არ იქნება და ჟურნალს მიეკერებაო.

მერე სათათბირო შეუდგა ნაკაზის მუხლების განხილვას. მიიღო 98—125 მუხლი.

დასასრულ სათათბირო გადავიდა აგრარულ საკითხზე. სიტყვა ითხოვა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ.

**სტოლიპინის სიტყვა.** მე არ მსურს განვმარტო აქ ვრცელი საადგილ მამულო პროგრამა; ვფიქრობ, რომ ყველა წოდებისა და საზოგადოდ მთელი რუსეთის ხალხისათვის სასურველია ამ საკითხის გადაწყვეტა. მე არ შევეხები აქ მთავრობისაკენ მომართულს ყველა შეურაცყოფას, საავიტაციო იერიშს, სიტყვებს კლასობრივ შურის ძიების შესახებ ნაყმევ გლეხებისაგან მემამულეთა მიმართ. მე აქ სახელმწიფო თვალთა ხედვის წერტილზე დავემყარები და ვეცდები პირუთვნელად განვსაჯო საგანი. კარგად შეგნებული მაქვს, რომ ამბები, რომელიც მთავრობის აზრს არ ეთანხმება, ამბოხების წყაროთ არ უნდა იქნას აღიარებული. შევეხები ჯერ მემარცხენეთა მიერ წამოყენებულ წინადადებათ, კარავაევის, წერეთლის და ვოლკ-კარაჩევსკის სიტყვებს. არ შევეკამათები მათ მიერ ნათქვამ საეჭვო ციფრების შესახებ, ხოლო ვეთანხმები მათგან დახატულ სურათს სამწარმოქმედო რუსეთის დაბეჩავებისას. აშფოთებული მთავრობა სცდილობს ხელი შეუწყოს მიწათ-მოქმედ კლასს. ხოლო აქ წამოყენებული პროექტები სრულებით არღვევენ დღევანდელ უფლებრივ წეს-წყობილებას და, ერთი მართალია მრავალ-რიცხოვანი კლასის, ინტერესს ყველა სხვა წოდებათა სარგებლობას მსხვერპლად სწირავს. ამის შედეგი იქნება—სოციალური რევოლიუცია. ერთი ორატორთაგანი გვიწვევდა დაგვერღვია ბიუროკრატიული მემამულეთა შემწე წეს-წყობილება და ზედ ახალი კულტურული წეს-წყობილება აგვეშენებინა. ამ მოძღვრებით დარღვეულ სახელმწიფო წყობილებას [illegible] დღების აღდგენა არ მოჰყვება, არამედ ძირითადად დაირღვევა თვით სახელმწიფოს წყობილება. თუ მიწის ნაციონალიზაციას მივიღებთ, ჩამორთმეულ ადგილების ფასის მიცემითან უსასყიდლოდ, ეს გამოიწვევს ისეთ სოციალურ უკუღმართობას, რომელიც ჯერ არ უნახავს იმპერიას. ვთქვათ მთავრობამ მიიღო ეს პროექტი, დასთანხმდა მრავალ განათლებულ მემამულეთა გაკოტრებაზე, იმ მამულების ჩამოქვეითებაზე, რომელიც დღეს განათლების კერას წარმოადგენენ: განა ამგვარად შეიძლება გადაწყდეს მატერიალურად საადგილ-მამულო საკითხი, მოეწყოს ადგილობრივ გლეხების საქმე?!

ამაზე პასუხს მიცემა ციფრებს შეუძლია, ციფრები კი ასეთია: არა თუ კერძო მემამულეთა მიწები, სულ ყველა მიწებიც ქალაქის მიწებიანად რომ გლეხებს გადავცეთ, მაშინ სხვა და სხვა გუბერნიაში საშინელი უსწორ-მასწორობას ვნახავთ. ვოლოგდის გუბერნიაში თითოს ერგება მაშინ 147 დესეტინა, ოლონეცკისაში—185 და არხანგელსკისაში კი—1039 დესეტინა; ზოგიერთ სხვა გუბერნიაში—15 დესეტინა, ხოლო პოლტავისაში 9 და პოდოლიისაში 8 დესეტინა. აქ ნაანგარიშევია ყველა მემამულის მიწა-წყალი, როგორც 107,000 თავად-აზნაურისა, ისე 490,000 თავ-დახსნილ გლეხისა და 35,000 მოქალაქისა (მეშჩანები). ზემო-ხსენებულ გლეხების და მეშჩანების მიწა კი ერთად უდრის 17 მილიონ დესეტინას. აქედან ის გამოდის, რომ მთელი მიწის თანასწორად გაყოფაც ვერ დააკმაყოფილებს საჭიროებას. საჭირო იქნება მიმართონ იმ საშუალებას, რომელსაც ურჩევს მთავრობაც, სახელდობრ, გადასახლებას. ამას ამტკიცებს მეორე ციფრი, სახელდობრ ხალხის გამრავლების აღნუსხვა. 1000 კაცს წელიწადში 151 სული ემატება, ამნაირად მარტო ევროპის რუსეთი 50 გუბერნიას ყოველ წელიწადს 1,625,000 სული ემატება. ამ ყოველ წლიურ მომატებულ ოჯახს წლიურად უნდათ $3^1/_2$ მილიონი დესეტინა მიწა. ნათქვამიდან ის გამოდის, რომ კერძო მიწების ძალით ჩამორთმევით საადგილ-მამულო საკითხი ვერ გადასწყდება. ზე ოხსენებულ მატერიალურ შედეგს მიემატება ფრიად არა სასურველი ზნეობრივი შედეგი. ყველაფერს, რასაც დამუშავება და გაუმჯობესება უნდა, ფასი ედება. ჰაერსა და წყალს ფასი არა აქვს, იმიტომ, რომ გაუმჯობესება და მოწყობა არ უნდათ. მიწის ჩამორთმევის შემდეგ ყველანი გათანასწორდებიან. მაგრამ მიწა ჰაერს არა ჰგავს და მას გაუმჯობესობა სჭირია. საერთო მიწათ-მფლობელობის დროს მიწის გაუმჯობესებას აღარავინ შეუდგება. არავინ ეცდება რიგიანად დაამუშაოს მიწა და მოსავლის რაოდენობა გაადიდოს. ერთის სიტყვით, მოისპობა შრომის სტიმულიის ჰახრაკია, რომელიც აიძულებს ადამიანს იშრომოს. თითოეული მოქალაქე (მათ შორის ყოველთვის მოიძებნება მუქთა მჭამელი) დარწმუნებული იქმნება, რომ მიიღებს მიწას. მაგრამ როცა გული აუცრუვდება, თავს გაანებებს მუშაობას და სოფელ სოფელ ხეტიალს მოჰყვება. ყოველივე გათანასწორებული იქნება, მაგრამ ზარმაცის გათანასწორება შრომის მოყვარესთან, ხოლო სულელისა ჭკუიანთან შეუძლებელია. ამ მიზეზით ქვეყნის კულტურული დონე დაიწევს, კეთილ მეოჯახეს, მეურნეობის გამომგონ-გამაუმჯობესებელს საშუალება არ ექმნება, მიწას მოახმაროს თავისი ძალა და ცოდნა. ჭკუაზე ახლოა, რომ ამისთანა შემთხვევაში მოხდება ახალი არეულობა და კაცი ნიჭიერი და ძლიერი ძალით აღადგენს საკუთრების უფლებას. საკუთრებას ხომ საფუძვლად მუდამ ძალა ედო და ამ ძალას მიჰყვებოდა ზნეობრივი უფლება. დასავლეთში ნიჭისა და შრომის უფლებამ შექმნა საკუთრების უფლება. ნუ თუ ეს ლა ჩვენ ხელმეორედ უნდა ვცადოთ ეს უფლება და განადგურებულ რუსეთის მინდვრებზე ხელმეორედ ავაშენოთ საკუთრების უფლება? ნუ თუ გგონიათ, რომ ამის შემდეგ რუსეთი გამდიდრდება? ხალხის სიმდიდრე სახელმწიფოს ძლიერებას ჰქმნის, მიწის გაყოფა კი რუსეთს ერთ პურის თავთავსაც არ შემატებს. ვთქვათ მე ვაჭარბებ, მაგრამ ვის შეუძლიან დანამდვილებით სთქვას, რომ ასეთი სოციალური რეფორმა რუსეთს არ დაშლის? ჩვენ კი გვეუბნევიან, ეხ ლანდელი რუსეთი დაანგრიოთ და მის ნანგრევებზე ახალი და უცნობი სამშობლო ავაშენოთო. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება.

შემდეგ მინისტრი შეეხო კადეტების პროგრამას და განაცხადა; თუმცა ეს პროექტი ისე შორს არ მიდის, როგორც სოციალისტების პროგრამა, მაგრამ ამასაც აზრად აქვს გლეხთა მიწის მფლობელობა ასწიოსო. პარტიის მიერ წარმოდგენილი პროექტი უარჰყოფს კერძო საკუთრებას მიწაზე და იმდენად ბუნდოვანია, რომ ერთი ნაწილი მეორეს ეწინააღმდეგება. ამ პროექტის მომხსენებელმა აღიარა, რომ გლეხებს სამუდამოდ უნდა დაეთმოს მიწა იჯარითაო, მაგრამ მეორე მხრით უნდა დაირღვეს უფლება მისი მეზობლისა, მემამულისა, რომლის სიწები თანდათან გლეხებს გადაეცემა. მემარცხენეთა პროექტი უფრო გულწრფელი და პირდაპირია, ვიდრე კადეტებისა, რომელთა პროგრამა მაინც ნაციონალიზაციისკენ მიიწევს. კადეტების მომხსენებელმა წამოაყენა ერთი აზრი, რომელიც დიდი ყურადღების ღირსია. მან აღიარა, რომ გლეხებმა თითონ უნდა მოაწყონ თავიანთი საქმე და კანონი არ უნდა ჩაერიოს ამაში.

ყოველი კაცი ისე მოეწყოს, როგორც ჰსურს; ხოლოდ მაშინ ეშველება მცხოვრებთ. მთავრობაც ყოველთვის ამას იმეორებს: უნდა აეხსნას გლეხობას ბორკილი და შეძლება მიეცეს ისეთი მიწათმფლობელობა მოაწყოს, რომელიც უკეთ უშველის მის მდგომარეობას. საინტერესოა აგრეთვე კ.—დ. პარტიის პროგრამაში ის მუხლი, რომლის ძალით სახელმწიფოს ევალება გადაიხადოს იმ მიწების ღირებულობის ნახევარი, რომლებიც გლეხთ მიეზიმება. მე მგონია, რომ ეს ეწინააღმდეგება პარტიის პრინციპს მიწების იძულებითი გამოსყიდვის შესახებ. თუ შევიწყნარებთ იძულებით გამოსყიდვას, ამასთან ერთად როგორ-ღა უნდა შევიწყნაროთ პრინციპი, რომლის ძალით მთელი სახელმწიფო, ყველა კლასები და ამათთან ისინიც, ვისაც მიწებს ჩამოვართმევთ, გლეხებს დაეხმარონ ამავ მიწების გამოსყიდვის საქმეში?.. სანამ შევუდგებოდე მთავრობის გეგმის განმარტებას, საჭიროდ ვთვლი შევჩერდე ერთ ღონისძიებაზე, რომელიც ბევრს მიაჩნია საუკეთესოდ აგრარულ საკითხის გადასაწყვეტად. ეს ღონისძიება—ძალადობაა. ყველამ იცით, როგორ ადვილად იჯერებს გლეხი ყველა მითქმა-მოთქმას მიწის შესახებ, როგორ ადვილად ითვისებს აზრს, რომ შეიძლება ძალადობით მიწის საქმის გადაწყვეტა. ამის გამო უკვე რამდენჯერმე კიდევაც დაისაჯა ჩვენი უბრალო გლეხი. არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ ამ ჟამად საფრთხე ახალ ძალმომრეობათა და უბედურებათა სოფლად მატულობს. მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ორ გარემოებას: ერთის მხრით უეჭველად საჭიროა ასრულდეს საერთო სურვილი, რათა სახელმწიფო მოღვაწეობა ნორმალურ პირობებში ჩადგეს და დაიწყოს კანონმდებლობა ქვეყნის განსაახლებლად; მაგრამ ამასთანავე არსებობს სურვილი ჩვენ ქვეყანაში მოძრაობის გაძლიერებისა, სურვილი ძალადობით მთავრობის გადაყენებისა; ამ კათედრიდან იყო ხომ წამოსროლილი ფრაზა: „ჩვენ აქ მიწის სასყიდლად კი არ მოვსულვართ, არამედ მიწის ძალით ჩამოსართმევად" (ხმები: „მართალია, მართალი!). აქედანვე იგზავნება პროვინციასა და სოფლებში და გაზეთებშიაც იბეჭდება წერილები, რომელნიც აღელვებენ ხალხს გულ-ახდილად ვუცხადებ სათათბიროს, რომ მოსალოდნელია ხალხმა მართლა მიმართოს ძალას მიწის მოსაპოებლად. სახელმწიფო რასაკვირველია, წინააღუდგება ამას და ხელს არ შეუწყობს სახელმწიფოსავე დარღვევას. ძალით ამ საქმის გადაწყვეტას ჩვენ არავის არ დავანებებთ. მიწის ნაციონალიზაცია, მთავრობის აზრით, ქვეყანას დაღუპავს, ხოლო კადეტების პარტიის პროექტი—ნახევრად ექსპროპრიაცია, ნახევრად ნაციონალიზაცია—ბოლოს და ბოლოს ისეთივე დამღუპველი იქნება ქვეყნისათვის, როგორც სოციალისტების პროექტები. მაშ სადღა არის ხსნა? იკითხავთ თქვენ: ნუ თუ მთავრობა ფიქრობს მარტო პოლიციური საშუალებით უშველოს საქმეს? მაგრამ სანამ საშუალებებზე გეტყოდეთ რასმე, მინდა ნათლად დაგისახოთ, თუ რა მიზანი აქვს მთავრობას. მთავრობას სურს გააფართოვოს გლეხთა მიწათ-მფლობელობა, ხელს შეუწყობს იმის კეთილდღეობას, რადგან სადაც კეთილდღეობაა, იქ განათლებაცაა და ნამდვილი თავისუფლებაც. მხოლოდ ამისთვის საჭიროა შრომის მოყვარე გლეხობა გავანთავისუფლოდ დღევანდელი ხელის შემშლელი პირობებისაგან; საჭიროა მივცეთ შეძლება ისე მოუაროს თავის მიწას როგორც თავის საკუთრებას. დაე იყოს სათემო მფლობელობა იქ, სადაც თემი ჯერ არ შერყეულა; მაგრამ ნუ იქნება თემობა იქ, სადაც ესეთი წყობილება უკვე შეირყა. მესაკუთრე გლეხს მთავრობა მოვალეა დაეხმაროს რჩევითა და ფულითაც. ეხლავე უნდა შეუდგეთ მცირე-მამულიან გლეხთა აღნუსხვას და მივცეთ მათ საკმაო მიწა შეღავათიანის პირობებით. აქ ამბობენ, რომ გლეხთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 57 მილიონი დესეტინა მიწა; აქვე აღნიშნეს, რომ მთავრობა მხოლოთ ახლა შეუდგა მიწის ფონდის შედგენას. ამისთვის ზოგი კერძო მემამულეთათვის მიწის ჩამორთმევას ქადაგობს: მაგრამ განა სახელმწიფოს შეუძლია ერთის ნაწილის გაყვლეფა მეორეს სასარგებლოდ. სახელმწიფოს დახმარება ჩემის აზრით იმაში უნდა გამოიხატოს, რომ გამოსასყიდ ფულის სარგებლის ერთი ნაწილი იკისროს. სახელმწიფო შეიძენს იმ კერძო მემამულეთა მიწებს, რომელნიც გაყიდვას მოისურვებენ; ეს მიწები, საუფლისწულო და სახაზინო მიწებთან ერთად, შეადგენენ მიწის ფონდს. რადგან ასეთი მიწა ბევრია, შეიძლება მათი იაფად გაყიდვა გლეხებზე. ამ გეგმის ასრულებას მთავრობა უკვე შეუდგა. შეიძლება მართლა დაგვჭირდეს იძულებით გამოსყიდვა, ხოლო ეს უნდა იქნეს როგორც საზოგადო წესი, და იმის ასრულებამდე მემამულე სრულებით უნდა უზრუნველ ყოფილ იქნას განადგურებისაგან, ამგვარია მთავრობის პროექტი. ჩვენი გზა უბრალოა, ხოლო მტკიცე კი არის. სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთ სხვა გზა ურჩევნიათ, გზა რუსეთის შერყევისა; ჩვენ კი გვსურს რუსეთის დიდება დავიცვათ (ტაშის ცემა მემარჯვენეთა)

ამ სიტყვის შემდეგ კრება დაიხურა.

ტომსკის გუბერნიაში სახელმწიფო სათათბიროს წევრად აირჩიეს რევიაკინი და შიშკინი, გლეხები, მიწის მუშა. არარუსთაგანი—ტობოკოვი. ყველანი კადეტები არიან.

## ახალი ამბავი

✦ **საბჭოს საგანგებო სხდომა.** გუშინ-წინ, 10 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნები საგანგებო სხდომაზედ შეიკრიბნენ. ქალაქის თავმა მოახსენა ხმოსნებს ამბავი პეტერბურგში აღმოჩენილ შეთქმულობის შესახებ. საბჭომ ერთხმად დაადგინა: „საბჭომ, მოისმინა რა მოხსენება ხელმწიფე-იმპერატორის კეთილად გადარჩენის შესახებ 1907 წლის 10 მაისის საგანგებო სხდომაზედ, ერთხმად დაადგინა: გამოეცხადოს ტფილისის მცხოვრებთა სახელით მის იმპერატორებით უდიდებულესობას უქვეშევრდომილესი გრძნობანი და უსაზღვრო სიხარული მის კეთილად გადარჩენის გამო. საბჭოს გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს კავკასიის ნამესტნიკს ხელმწიფე-იმპერატორის მოსახსენებლად".

✦ **გაზეთის დაკეტვა.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო-წესების მოხსნამდე დაიკეტა სომხური ყოველ კვირეული გაზეთი „ძაინი".

✦ **ფილარმონიულ საზოგადოების კრება.** ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, საზოგადო კრება მოახდინოს 31 მაისს.

✦ **ოპერები ქართულად.** ტფ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობამ 10 მაისის სხდომაზე დაადგინა, რომ ამ მაისის ბოლო რიცხვებში დადგას ტფილისში ქართულად ოპერები.

-მენი“ და „ფაუსტი“. ამის შემდეგ დასი წავა ბათუმში, ქუთაისში, ფოთში და ჭიათურაში და დასდგამს ქართულად „კარმენს“, „ფაუსტს“ და „სევილიელ დალაქს“. ამ ოპერებში, როგორც აქ, ისე მოგზაურობის დროს მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი მომღერლები: ქ-ნნი რჩეულიშვილისა, ძნელაძისა და ტ. აბაშიძისა; ბ-ნნი გედევანიშვილი, ალასოვი და სხვანი. ყველა ამ ოპერების დირიჟორად იქნება ზ. პ. ფალიაშვილი. საზოგადოება ამასთან აცხადებს, რომ ის მომღერლები, რომელნიც ამ ბოლო დროს ასე ხშირად დაიარებიან დაბა-ქალაქებში და მართავენ კონცერტებს თუ ოპერებს ქართულად, არ ეკუთვნიან ფილარმონიულ საზოგადოების ქართულ ოპერების მმართველ სექციას.

✦ **კაცის მოკვლა და დაჭრა.** 10 მაისს, საღამოს 9 საათზე, აკიმოვის ქუჩაზე ვიღაც უცნობი კაცი წამოეწია სპარსეთის ქვეშევრდომს მუშეგ არაქელიანცს, დაახალა რევოლვერი და იქვე მოკლა. სროლის დროს ერთი შემთხვევით გამვლელი ქალიც, დარია სარაჯიშვილისა, დაიჭრა.

✦ **მადლობა.** სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება გვთხოვს დავბეჭდოთ. სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების გამგეობა მადლობას უძღვნის შემდეგ პირთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა პირველ სახალხო კონცერტში გამართულს 20 აპრილს ზუბალაშვილის სახალხო სახლში: ქ-ნთ ბალბაშევსკის, ზეიცს, სიმპლიცკის; ბ-ნთ ვასილევს, კაპნავიანს, ყაზახაშვილს, მატკოვსკის, მამედ კული-ზადეს, მირზოიანს, მინხეიმერს, ფალიაშვილს, ტომაშევიჩს, ცხომელიძეს, შებუევს, ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების და სომხურ ხოროებს და საზანდარს, აგრეთვე ბ-ნ სუზანაჯიანს როიალის უფასოდ დათმობისათვის.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან ხუთის წლით—პარმენ შენგელია და მიხეილ კირაკოზოვი. პირველზე ეჭვი აქვთ, რომ მონაწილეობა უნდა მიეღოს ბაგრატ ზაზიევის მკვლელობაში, მეორეს რევოლვერი უნახეს. ტფ. საგ.-გუბერნატორიდან ეტაპით იგზავნებიან: ფილიპე სვანაძე, გიორგი გაწერელია და ალექსანდრე დანელია.

✦ **გაზეთი „მიწა“.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი „მიწა“ შემდეგი, მე-19 ნომერი, გამოვა ხუთშაბათს, 17 მაისს.

✦ **სესხი დაზარალებულთ.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოუგზავნა ნამესტნიკს დაზარალებულ მცხოვრებთა შორის სესხის გასაცემად კიდევ 113.358 მანეთი. აქედან ყარსის ოლქის მცხოვრებთ უნდა მიეცეს 86.642 მანეთი, ხოლო დანარჩენი სხვა გუბერნიების მცხოვრებთ. მათ შორის არის ტფილისის გუბერნიაც.

✦ როგორც მკითხველებმა იციან ტფ. სასულიერო სემინარიაში 1, და 23 აპრილიდან მოსწავლენი გაფიცულები არიან. დღევანდლამდე ამ კლასებში არც სწავლა უთვიათ და არც ეგზამენებს იჭერენ ეს მოსწავლენი. ეგზამენია დაუჭერია მხოლოდ ერთს მესამე კლასის მოწაფე მალვა გოგუაშვილს.

✦ „ისარის“ № 86-ში შეცდომით იყო დაბეჭდილი ვ. გუნიასა და კარგარეთელის ერთად შემომწირველთაგანის გვარი, იქ სწერია: „ერთი მანეთი შემოსწირა ნ. გულენიაშვილმაო“, უნდა იყოს «კ. გულიაშვილმა».

✦ 9 მაისს საღამოთი, პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებს ტფ. ვაჭარს გრიგოლ რამენდაკს მიუღია «ტერორისტებისაგან» ბარათი, რომლით მისგან ძოუთხოვნიათ 5000 მან. ეს ამბავი უცნობებიათ პოლიციისთვის, რომელსაც რამენდაკის სახლის ახლო გადაცმული პოლიციელები ჩაუსაფრებია. საღამოთი ჩასაფრებულებს შეუნიშნავთ ოთხი კაცი და დაუპატიმრებიათ. ესენი ყოფილან: ტფილისის მოქალაქე მარტიროს სუკიასიანცი, დიმიტრი ქობულაშვილი, ნიკოლოზ ხოდიშვილი და დავით ბესტაშვილი. დაპატიმრებულნი საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

✦ 10 მაისს, სურფ-კარაპეტის აღმართზე ვიღაც უცნობმა რევოლვერით დასჭრა ტფილისის მცხოვრები სტეფანე ტონიკოვი, ეჭვი მიიტანეს აკოფ აკოფოვზე, რომლის ძებნას პოლიცია უკვე შეუდგა.

✦ ნაძალადევში, 10 მაისს საღამოთი, პოლიციელებმა დააპატიმრეს რუსეთის შორეულ ადგილებიდან გამოქცეული გადასახლებული ილარიონ ლემიშჩუკი.

✦ 10 მაისს საღამოს, ელისაბედის ქუჩაზე, 5 შეიარაღებული კაცი შეცვივნია გასპარ-ოჰანესიანცს და მოკვლის მუქარით მოუთხოვიათ ფული; წაურთმევიათ ფულად 448 მან., დაუჭრიათ ხელში ოჰანესიანცი და გადამალულან.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ უკანასკნელ კრებაზე ქუთაისის ქალაქის საბჭომ მიიღო კომისიის მოხსენება (ერთის მუხლის გამოკლებით) სალორიაში იჯარით გაცემულ ადგილების შესყიდვის შესახებ მოიჯარადრეთა მიერ, გასასყიდად დანიშნულია 586 ნაჭერი მიწა, ზომით 100.000 ოთხკუთხ საჟენამდე. ეს ადგილები საერთოდ დაფასებულია 312 000 მანეთად. უდიდესი ფასი საჟენზე—6 მანეთია, უმცირესი—1 მ. 50 კაპ. ამ ჟამად გასასყიდ ადგილებზე ითვლება იჯარის ვალად 17.000 მანეთი; მიმდინარე წლის გადასახადიც შეადგენს 10.000 მანეთს. ამ ნაირად ყველა მოიჯარადრემ რომ შეიძინოს ადგილი ფასის 5 წლით განაწილებით, უნდა გადაიხადონ: 312.000 მან. ადგილების ფასი, 17.000 მანეთი ნედოიმკა და ხუთი წლის იჯარა 50.000 მან., სულ 379.000 მან. თითო ოთხ კუთხი საჟენი დაჯდება 3 მ. 37 კაპეიკი.

## პრესსა

სოციალისტ-რევოლიუციონერების გაზეთ „იზვესტია“-ში ბ-ნი ვ. ჩ. ეხლანდელ მომენტს ეხება და ხალხის სულიერ განწყობილებას ახასიათებს.

«ეხლანდელ მომენტის დამახასიათებელ ნიშნად,—ამბობს ვ. ჩ.,—უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მაშინ, როდესაც ხალხის გულის სიღრმეში მოძრაობა ცოცხლდება და ღრმავდება, პოლიტიკურ ცხოვრების ზედაპირზე ინტელიგენციას რაღაც მორალური დაქვეითება, გულის-გატეხა ემჩნევა; ხანდისხან მას თითქოს იმის სურვილიც კი ებადება, რომ პოლიტიკურ ცხოვრებას სავსებით თავი დაანებოს და დაისვენოს.

ამის შემდეგ ვ. ჩ. მხოლოდ ახასიათებს ინტელიგენციის მნიშვნელობას საზოგადოდ ყველა მოძრაობაში და რუსეთისაში კი განსაკუთრებით, მაგრამ ბოლოს შენიშნავს, რომ ის „ინტენსიური მგრძნობიარობა“, რომელსაც იჩენს იგი ხალხის განთავისუფლების საქმეში, ძალიან ხშირად მისივე სისუსტის წყაროდ გადაიქცევა ხოლმეო.

«ხანდისხან ინტელიგენციის უმრავლესობა მხოლოდ ნერვებად გიდაიქცევა ხოლმე; ის კი არა სცხოვრობს, არამედ იწვის და დნება სანთელისავით და ძალიან ხშირად დადნება ხოლმე იმაზე უმალ, ვიდრე სანატრელი დრო განთავისუფლებისა დადგებოდეს».

ვ. ჩ. ინტელიგენციას ხალხს უპირისპირებს და ამბობს, რომ აქ სულ სხვანაირ მოვლენებს ვხედავთო. თავდაპირველად მოძრაობა ხალხში ნაკლებად იკიდებს ფეხს, უკმაყოფილება ან ერთს ადგილას იჩენს ხოლმე თავს, ხან მეორეს, მაგრამ მოძრაობა თან და თან ღრმავდება, ფართოვდება და მაშინ, როდესაც მოქანცული ინტელიგენცია უკან იწევს და მოსვენებას თხოულობს, აბობოქრებული ხალხი ეძლევა იმ „ინტენსიურ მოძრაობას“, რომელიც ყოველთვის ხალხის გამარჯვებით თავდება ხოლმეო.

«ობიექტიურად რევოლიუცია გათავდა,—სწერს პეტრე სტრუვე,—და ამასთან ერთად ყველა ამას იმეორებს, სწერენ, იმეორებენ ამ დაწერილს და ვერა ხედავენ, რომ რევოლიუცია **მათთვის** გათავდა, გათავდა სუბიექტიურად მაშინ, როდესაც **აუარებელ მასსისთვის იგი მხოლოდ ეხლა იწყება**»-ო, ასე აბოლოვებს ვ. ჩ. თავის საყურადღებო წერილს.

## სასამართლო

**„მეგობრის“ რედაქტორის საქმე** გუშინ სამოსამართლო პალატამ წოდებრივ წარმომადგენლობის მონაწილეობით გაარჩია პოლიტიკური საქმე გაზეთ „მეგობრის“ რედაქტორის ნაფიც ვექილის გ. რცხილაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით, ისეთი თხზულების გავრცელება, რომელსაც მიზნად სახელმწიფოში არსებულ წესწყობილების დამხობა აქვს. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ი. ბარათაშვილი. პალატამ რედაქტორი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა. დაწვრილებითს ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

—

**მიხეილ ყიფიანის საქმე.** გუშინ, 11 მაისს ტფ. სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით შეუდგა განხილვას პოლიტიკურ საქმისას, რომლითაც პასუხის გებაში მიცემულია რკინის გზის კონტროლერი მიხეილ ქ. ყიფიანი. ყიფიანს ჰბრალდება, ვითომ იგი ეკუთვნოდა რევოლიუციონერთა ჯგუფს, რომელსაც აზრად ჰქონდა არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დამხობა. საქმე ხალხის დაუსწრებლად ირჩევა. პალატის დარბაზს იცავენ პოლიციელები.

—

**პოლიტიკური საქმეები ქუთაისში.** 10 მაისს ქუთაისში დაიწყო სესსია ტფ. სასამართლო პალატისა. პირველად გაირჩა საქმე გოდოვანის მცხოვრების ამბროლიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა პროკლამაციების გავრცელება. პალატამ ამბროლიძეს მიუსაჯა 6 თვით დაპატიმრება. ამ ვადაში უნდა ჩაეთვალოს ის სამი თვე, რომელიც მან სატუსაღოში გაატარა. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი კალ. ჩიკვაიძე.

მეორე საქმის გარემოება ასეთია: 26 ივნისს 1905 წელ. დილის 6 საათზე, როცა ცნობილი დიმიტრი მგელაძე ბათუმის სადგურზე მიდიოდა, მას ვორონცოვის ქუჩაზე ყუმბარა ესროლეს, რომელიც ხელში დაიჭირა მგელაძემ. ამის შემდეგ მგელაძის თანამგზავრებს—სტრაჟნიკებს სროლა აუტეხიათ, რომლის დროსაც კიდე ერთი ყუმბარა გადაუგდიათ, მაგრამ არ აფეთქებულა. ყუმბარის მსროლელნი მიმალულან და მგელაძე სტრაჟნიკებით სადგურზე წასულა და როცა ვაგონში ჩამჯდარა, იქიდან ხალხში დაუნახავს ერთი ახალგაზდა, რომელიც, მგელაძის სიტყვით, ყუმბარის მსროლელთა შორის იყო. პოლიციას შეუპყრია ახალ-გაზდა, ბათუმელი ხელოსანი ალ. თოიძე, რომლის საქმე ორჯელ ყოფილა დანიშნული, მაგრამ მგელაძის გამოუცხადებლობის გამო არ გარჩეულა; ეხლაც ვერ დაესწრო მგელაძე და პალატამ კიდევ გადასდო. ალ. თოიძის ვექილის სერ. ჯაფარიძის შუამდგომლობა, რომ თოიძე თავდებობით განთავისუფლებინათ, სასამართლომ არ შეიწყნარა.

შემდეგ ამისა პალატა შეუდგა განხილვას ლეჩხუმის საქმისას, რომლის გარემოება გაცნობეთ წინა წერილში. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილნი: მოსე ქიქოძე, ალექ. საყვარელიძე, როსტოვსკი და ნაფიც ვექილის თანაშემწე—მახარაძე.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ზემო-ქართლი.** თითქმის ორი თვე გავიდა ისე, რომ ზემო ქართლში ციდან ნამი არ ჩამოვარდნილა. მერე სიმინდის თესვის დროც წავიდა უავდრობისა გამო, ხალხი დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, აღარ იცის რა ქმნას. ყანებს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ გვალვისაგან სულ გაფუჭდა, დამეტ არაა აქვს ნამი. დედა მიწა სულ დახეთქილია მეტის მეტი გვალვისაგან. სიმინდი რაც დაითესა, მიწაში მშრალად ჰყრია. ხალხი სწუხს და ტირის, შიმშილობა მოელის ზემო ქართლს. ამ დროს თოხნის გამწარებული მუშაობაა ხოლმე, ეხლა კი ხალხი გულ ხელ დაკრეფილი ან თვალ ცრემლიანი შესჭყურებს ცას. არც სხვა სამუშაო არის, რადგან ტყეები შეკრული აქვთ მებატონეებს. ამათი სამუშაო არის ჭიათურა, მაგრამ სიშორისა გამო ბევრი ვერც მიდის და თუ მიდის, უფრო ღონიერი, ხარჯმბეჩის პატრონი.

არც აქაური ჩარჩები არ იშლიან თავისას და რეაქციის გამეფებით ხალხს კვლავინდებურად ტყავს აძრობენ. თუ ვისმეს რამე მათი მართებთ, ერთი სამად და ხუთად ახდევინებენ.

**ალიელი.**

—

**ქ თელავი.** ღამის არის შარშანდელი ზამთრიდის ამბები განმეორდეს თელავის მაზრაში, როცა კარში ვერავინ გამოდიოდა, სოფლად ვერვინ მიდიოდა, იმის შიშით, რომ არ გაეცარცვათ, ან თავი ხიფათში არ ჩავარდნოდათ. ტყე ხშირი ფოთლით შეიმოსა თუ არა, თავი წამოუყვეს ბოროტმა სულებმა და დაიწყეს თარეში გზებზე მგზავრთა საცარცვავად.

16 აპრილს ტფილისიდან მომავალ ომნიბუსებს შუა მთის ახლოს დაუხვდნენ ვიღაცები, ორჯელ თოფი გაისროლეს, შეაჩერეს და გაძარცვეს მგზავრები, წაერთვათ რაც-კი ჰქონდათ: ფული და ტანისამოსი, კონდუქტორისთვის ჩექმებიც კი გაეხადნათ. ბარგს თვით კონდუქტორს აზიდვინებდნენ ტყეში. სხვათა შორის ერთის სამხედრო პირისთვის რევოლვერიც წაერთმიათ, დაჭრით არავინ დაუჭრიათ, ომნიბუსები გაისტუმრეს და თვით-კი მიმალულან.

აღდგომის მეორე დღეს კალმა მხრის გზაზე-ჭალაში მდინარე ჩელთასთან დაუხვდნენ თელავიდამ მიმავალ დილიჟანებს და გაძარცვეს მგზავრები, ამ გზაზე მლოცავებიც გაძარცვეს.

27 აპრილს ს. ყვარლიდან დილიჟანი გამოსულა თელავში მომავალ მგზავრებით. 4 ვერსი რომ გამოსცილებიან, ვიღაც ბერდანიანი გამოვარდნილა ტყიდან, შეუჩერებია, კონდუქტორი მკლავში და თავში დაუჭრია და მგზავრები გაუცარცვავს, წაუღია ოც თუმანზე მეტი ფული და ნივთები.

მს გზებზე; თელავშიაც ხდება ასეთი ამბები. 27 აპრილს, ღამე მკალავიშვილს სახლში შეუვარდა 6 შეიარაღებული კაცი. კარები ხანჯლის წვერით გაღეთ, მკალავიშვილს უახსები ჰქონებია--სახლის გასაჩხრეკად შემოვიდნენო, მაგრამ რა დაუნახავს თავდამსხმელნი, წინააღმდეგობა გაუწევია, რისთვისაც ხელში დაუჭრიათ ხანჯლით. ფულად 40 მ. მეტი წაუღიათ.

სოფლებიდანაც არა სასიამოვნო ამბავი ისმის; კაცის კვლაც გაჰშირდა, აქ მოკლეს, იქ დასჭრეს, ის გაცარცვეს --ხშირად გესმის აქეთ-იქიდამ და შენ ყურს არა სჯერა, რომ ყველა ეს ხდება მშვიდობიან და ღარბაისელ კახეთში და იმის დედა ქალაქში.

—

**ვაზიანი** (ტფ. მაზრა). 30 აპრილს სიღნაღის გზატკეცილზედ, ვაზიანსა და ორხევს შუა, ხუთმა შეიარაღებულმა კაცმა გასცარცვა რამდენიმე კაცი. კაკაბეთის მცხოვრებს ილიკო მაღარიძეს წაართვეს 100 მან., ვერცხლის ქამარი და ცხენი; იაგორა ბელაშვილს—რვა მან., გიო ჯავახიშვილს—ექვსი თუმანი და სამი მანეთი ფულად და ერთი ხურჯინი ნავაჭრით 20 მანეთისა. სოფელ ვაქირის მცხოვრები ილიკო ნანაბაშვილს ფულად წაართვეს 25 მანეთი, უღელი ხარი და ერთი ხაბადი; ქიტა ყანჩაშვილს—ერთი ხარი და 20 მ.; ითველ ქებაშვილს—ოთხი ხარი და ხუთი თუმანი; ნიკა დავითაშვილს—ერთი ხარი და ოცი მანეთი; სიკო დავითაშვილს—ერთი მანეთი და 75 კ. ყაჩაღებს დაედევნა ვაზიანის უფროსი სტრაჟნიკი ხოხობაშვილი, ტ. ხებრიელაშვილი და კ. ბაბაკოვი მიჰყვნენ კვალზედ და ყარაჯალაში ორი მცარცველი დაიჭირეს. იმათგან სხვების გვარებიც გაიგეს.

**ა. ყ—ლი.**

## ჭიათურის საავადმყოფოს შესახებ.

(წერილი რედაქციის მიმართ)

«ისარი»-ს მე-60 ნომერში მოთავსებული ჭიათურიდან გამოგზავნილი წერილი უმთავრესად ჩემ მიერ გაგზავნილი დეპეშას და პირადად მე შემეხება, ამიტომ გთხოვთ იქ კი აღნიშნულ ბრალდების თავიდან ასაცილებლად ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს თქვენს გაზეთში.

პირველ, სანამ თვით წერილის შესახებ ვიტყოდეთ რამეს, ორიოდე სიტყვა იმის შესახებ თუ რამ გამოიწვია, იმ ყბადაღებულ დეპეშის საბჭოში გაგზავნა. იგი გამოიწვია ავადმყოფობისათვის საკმარის სურსათის უქონლობამ: სახელდობრ რძის ნაკლულევანებამ და კვერცხების სრულმა არ ქონებამ. ავადმყოფებს ჩვენს საავადმყოფოში ეძლევათ დილას ერთი სტაქანი რძე, ერთიც ჩაი და ორი კვერცხი. აგრეთვე საღამოსაც ეძლევათ ეს არა იმიტომ, თითქოს ვინმეს პირადი ჟინი კმაყოფილდებოდეს ამითი და ავადმყოფობისათვის კი ზედმეტ რამეს შეადგენდეს, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ როგორც აუცილებლად საჭირო ზომა ავადმყოფის სხეულის გასამაგრებლად და გამომხამჯობინებლად. მით უმეტეს, რომ ჩვენი ავადმყოფები შინ და გარედ მუდმივის, ქრონიკულის შიმშილით ძლიერ დასუსტებულნი არიან, მათი ორგანიზმი მოძაბუნებულია, და ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებთან სხეულის დამცველ ძალებს ამის გამო ბრძოლა უძნელდებათ. ავადმყოფობის დროს ხომ სხეული სიცხისა და სხვა მიზეზებისა გამო ერთობ ბევრს ჰკარგავს და მის წონის თანასწორობა და მუდმივობა მეტად იკლებს, რაც საქმეს უადვილებს ავადმყოფობას, რომ ავადმყოფს სული დარიოს. ამიტომ აუცილებლად საჭიროა ავადმყოფს მიეცეს ისეთი საზრდო, რომლის მონელება კუჭს და ნაწლავებს არ გაუძნელდებათ და რომელიც სისხლში გადასულ სხეულს მალე შეეთვისება და გაამაგრებს ავადმყოფობასთან ბრძოლაში. მთელ საკვებ სურსათში, რძისა და კვერცხის გარდა, ჩვენ არც ერთი საკვები მასალა არა გვაქვს, რომელსაც შეეძლოს ამ დანიშნულების ასე კარგად აღსრულება. აქედან ადვილი მისახვედრია, რომ რძისა და კვერცხის მლევას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება ავადმყოფების კვება საზრდოობის საქმეში და ის მოუკლებლად უნდა ჰქონდეთ მათ. ახლა ვიკითხოთ: ჰქონდა თუ არა ესენი ჩვენს საავადმყოფოს და ავადმყოფებს? არა. აგერ მეორე წელიწადია აქა ვარ და რომ მუდამ კვერცხი გვქონოდეს, არ მახსოვს. მისი უქონლობა ჩვენს საავადმყოფოში ქრონიკულ მოვლენად არის გამხდარი. ერთ—ორ დღეს იქნება და მერე [illegible] ბით არა. თუკი [illegible] ჩვენს საავადმყოფოში [illegible] დახედოს, სადაც [illegible] რმეი იწერება, იქ ხშირად შეჰხვდება მორიგ ფერშლის, ან გამგე ექიმისაგან გაკეთებულ ასეთ შენიშვნას: «დღეს ავადმყოფებს კვერცხები არ მიუღიათო;» შეხვდება ასეთ შენიშვნას რძის შესახებაც. წინად, როცა შედარებით ცოტა ავადმყოფი გვყავდა და ჩვენი ძროხებიც ბევრს იწველიდნენ, კვერცხების ნაკლულევანებას რძით ვფარავდით, მაგრამ ახლა, როცა ყოველ დღიურად თითქმის 35*) მძიმე ავადმყოფი გვიწევს და ძროხებიც ცოტა რძეს იძლევიან, კვერცხების უქონლობა აღარაფრით აღარ იფარებოდა და ავადმყოფები დილას და საღამოს შიმშილობდნენ. ამის თავიდან ასაცილებლათ ვეცადეთ სხვაგან სადმე გვეშოვნა რძე, რაც საავადმყოფოს ეკონომ ზედამხედველს ადრევე დაევალა, მაგრამ ეს როგორც უკანასკნელმა განაცხადა, უფულობისა გამო არ მოხერხდა. ამიტომ ავადმყოფებში ვეღარავის ვერ ვაძლევდით კვერცხებს, ბევრს ვეღარც რძეს და ასე წარმოიდგინეთ ვერც ერთ სტაქან ჩაიზედ მეტს, რადგან ჩვენი სამოვარი ისეთი პატარაა, რომ მისი წყალი ერთ ჯერზედაც ძლივს აკმაყოფილებს ავადმყოფებს—ეს არა ერთხელ და ორჯელ გვითქვამს საბჭოსათვის. ასე იყო საქმე და რა გასაკვირალია, თუ ავადმყოფები დილას და საღამოს დაუკმაყოფილებელნი რჩებოდნენ. შიმშილს ჰგრძნობდნენ და საყვედურსაც აცხადებდნენ ამის შესახებ (მაგ. ავადმყოფნი რიაუსკი (†გარდ.), მეღრენკო, მოლჩანოვი, თუმიშვილი და სხვანი). ასეთ მდგომარეობაში ვიყავით, როდესაც საბჭოს ხსენებული დეპეშა გაეგზავნა.

ახლა, ამის შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ ზემო აღნიშნულ წერილს. სავსებით ვეთანხმები კორესპონდენტს, რომ ივანიკას ზდანოვიჩის დეპეშა ჯერ სულ არ უნდა ეხსენებინა, ხოლოდ რადგან ახსენა, სრულად უნდა მოეყვანა და არა შემოკლებით, რადგან ეს მეორე ნახევარიც დიდი გამამართლებელი არ არის მისი გამომგზავნისა. მთელი დეპეშის შინაარსის მოყვანის შემდეგაც «მიუდგომელი» კაცი იმ დასკვნას გამოიყვანდა, რომ მაშინ, როდესაც საბჭოს თავის გაჭირვებას ატყობინებენ, ავადმყოფებისთვის დახმარებას და «პურს» სთხოვენ, იგი «ქვას» იძლევა და რაღაც უწესოებაზედ იწყებს ლაპარაკს, რაც ამ დროს სრულებით უადგილოა. კორესპონდენტისაგან კი ამისვე გამეორება იმისაგან მიუდგომლობას არ ამტკიცებს. მიუდგომლობა ავალებდა კორესპონდენტს გაეგო და შეესწავლა, თუ რაზედ სურდა წერა და ხმები არ მოეკრიბა. ის რომ დააკვირებოდა საქმეს, გაიგებდა, რომ ავადმყოფების კვება-საზრდოების საქმე ექიმისა და საავადმყოფოს ეკონომ-ზედამხედველის ხელშია და არა სხვა მოსამსახურეებისა. პირველნი კი, არც ერთი და არც მეორე მიმართულებით ს.-დემოკრატები არ არიან, ამიტომ მოსამსახურეთა სოციალისტობაზე წერა სრულიად უადგილოა. «მე რომ ბ. ივანიკას ადგილას ვყოფილიყავი, ბ-ნ ლოხაბერიძის დეპეშას გაუკეთებდი კომენტრიებს (და) ზდანოვიჩივით დავასკვნიდი, რომ რძისა და კვერცხის უქონლობა შიმშილობას არ მოასწავებს, თუ სხვა სანოვაგე საავადმყოფოს უნაკლულოდ აქვს»,—განაგრძობს ქვევით კორესპონდენტი. გაუკეთებდით და ამით დაამტკიცებდით, რომ თქვენ ავადმყოფობის კვება-საზრდოობის საქმეში არა გაგეგებათ რა. ან და ზოგიერთ საბჭოსთან დაახლოვებულ პირსავით მსჯელობთ: «ავადმყოფებს რა რძე და კვერცხი უნდათ, თავის სახლში ხომ ვერც ერთს ვერ იშოვნიანო». ასე რომ გავყვეთ, საავადმყოფოც უნდა დაკეტოთ და ექიმიც დაითხოვოთ, რადგან თავის სახლში არც ესა აქვთ ავადმყოფებს. რძისა და კვერცხის გარდა, სხვა სურსათის უნაკლულევ ნება ჩვენ ვერ გვიშველის, რადგან დილას და საღამოს ავადმყოფებს ლობიოს, ან ხორცს ხომ ვერ მივცემთ?!

მიუდგომლობავე ავალებდა კორესპონდენტს გაეგო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ საავადმყოფოს ძროხები რძის დაულეველ წყაროს როდი წარმოადგენენ, ერთხელაც არის მათ დრო უდგებათ, როცა ძუძუშრობას იწყებს. ამას მშვენივრად აგიხსნიდათ ყოველი სოფლის დედა-კაცი და თქვენც მაშინ მიხვდებოდით, რომ ამ ძროხების რძე არც დეპეშის გაგზავნამდე ჰყოფნიდა ავადმყოფებს. მიხვდებოდით და იქნებ მეტს აღარას იტყოდით. აღარ იტყოდით, რომ «კვერცხების უქონლობა შიმშილს არ მოასწავებს ისეთ ავადმყოფებისათვის, როგორიც ჩვენა გვყავს და შეიტყობდით, რომ ლოხაბერიძემ და მისმა თანამშრომლებმა წინ და წინვე ივარაუდეს საქმე და საავადმყოფოსთვის კვერცხები მაინც ვერ იშოვნეს, რადგან ვერ იშოვნეს ფული. ამას დაგიმ-

*) დეპეშის გაგზავნის დღეს კი 39.

ტკიცებთ თუნდა კიტა აბაშიძე, რომელსაც ლოსაბერიძემ, როგორც საბჭოს წევრს და თავმჯდომარის მოადგილეს, აქ ყოფნის დროს ადრევე ტელეფონით შეატყობინა საავადმყოფოს გაჭირვება. ისიც ეცადა და გვიშოვნა 16 მანეთი. «ფული არა გვაქვსო, სწერს თავის დეპეშაში ბ ნი ლოსაბერიძე. კი, მაგრამ რამდენი ფული უნდოდა კვერცხის შეძენას?—გაკვირვებით კითხულობს კორესპონდენტი. ბევრი, ბატონო, ბევრი. კვირაში გვჭირდება ათასი კვერცხი, თვეში ოთხი ათასი; თითო კვერცხი გვიჯდება თითქმის სამ კაპეიკად, გამოითვალეთ და უბრალო ანგარიში გიჩვენებთ, თუ რამდენი დასჭირდება? «დავიჯერო იმდენი ნდობა არა აქვთ დამსახურებული საავადმყოფოს და მის გამგეებს, რომ ხუთი მანეთი ვერ იშოვნეს?» კიდევ გაკვირვებით კითხულობს იგი. ვგონებ ჭიათურაში მალიან იშვიათად ყოფილა წერილის ავტორი, თორემ გაიგებდა, რომ საავადმყოფოს და მის გამგეს რომ დიდი ნდობა არა ჰქონდეთ დამსახურებული, ვინ იცის საბჭოს აქნობამდის საავადმყოფოს დაკეტვაც დასჭირებოდა, მაგრამ უმადლოდნენ ისევ გამგეს, რომელიც თავის ენერგიით და მეცადინეობით ყოველს ნაკლულევანებას ავსებს. «აშკარაა, რომ ტელეგრამის გაგზავნას ჭიათურიდან და «წინ»-ის კორესპონდენტს ამოქმედებდა ერთი აზრი—ქვეყნისთვის გაეგებინებინათ, რომ «სოციალისტ» ზდანოვიჩის მეოხებით ავადმყოფები დამშეულნი არიანო». არ ვიცი, რა ამოქმედებდა «წინ»-ის კორესპონდენტს და დეპეშის გაგზავნაზე ასეთი ფიქრი-კი სრულიად უადგილო და შეუწყნარებელია: მას ამოქმედებდა ერთად ერთი ის აზრი, რომ საბჭოს, და არა პირადად მარტო გ. ზდანოვიჩს, როგორც საქმის სათავეში მდგომს, სცოდნოდა საავადმყოფოს არა სასურველი მდგომარეობა და მისივე დახმარებით გამოეკეთებინა გაჭირვებული ავადმყოფების კვება - საზრდოობის საქმე. საბჭოსაგან მთელად და კერძოდ თითო წევრისაგან არა ერთხელ და ორჯერ სმენია დეპეშის ავტორს, რომ ოღონდ გვაცნობეთ თქვენი გაჭირვება, მოითხოვეთ რაც გინდათ და ჩვენ მზადა ვართ საჩქაროდ დაგაკმაყოფილოთო. სმენია, მაგრამ, როცა ჯერი საქმეზედ მიდგა, საბჭომ, რათ არ ვიცი, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და დახმარება არ გაგვიწია. აი სწორედ ეს ამოქმედებდა დეპეშის გამგზავნს და არა ის, რასაც წერილის ავტორი სწერს.

ექიმი ე. ლოსაბერიძე.

(დასასრული იქნება)

## რუსეთი

✦ **პოლიტიკურ საქმეთა გამო დასჯილნი.** „ტოვ."-ის გამოანგარიშებით 1—30 აპრილამდის სიკვდილით დასაჯეს 12 კაცი,—რომელთა შორის 4 საველე სასამართლოებისა და 8 სამხედრო სასამართლოებისაა განაჩენით; სასამართლოს დადგენილებით სხვა-და-სხვა სასჯელი მიაყენეს 737 კაცს; სასამართლოს მიერ პასუხის გებაში მიცემულ იყვნენ ჟურნალ-გაზეთების 13 რედაქტორი; შეჩერებულ იქნა 36 პერიოდული გამოცემა; სასამართლოს მიერ პასუხის გებაში მიცემული იყო მე-2 სახელმწიფო სათათბიროს ორი დეპუტატი, ს.-დემოკრ. პარტიის წევრი და სასამართლომ საქმე შეუყენა სათათბიროს 4 დეპუტატს. დასჯილთა რიცხვის მიხედვით სხვა და სხვა ადგილებში ასე განაწილდებიან: ყველაზე მეტი დაისაჯა ბალტიის მხარეში, რომელსაც მისდევენ პოლონეთი და კავკასია.

✦ **რუსთა კავშირის წევრთა პატიება.** ხელმწიფე იმპერატორმა „ნამდვილ რუსთა კავშირის" შუამდგომლობით სასჯელი აპატია კავშირის ექვს წევრს, რომელთაც 8 თვით სატუსაღო ჰქონდათ გადაწყვეტილი ნიჟნი-ნოვგოროდში სოციალ დემოკრატებსა და ინტელიგენტებზე თავ-დასხმისათვის.

✦ **პოლიციის დეპარტამენტის განკარგულება.** პოლიციის დეპარტამენტმა განკარგულება გაუგზავნა პროვინციაში ჟანდარმთა გამგეობის უფროსებს, რომელშიაც საყვედურს უცხადებს, რევოლიუციონურ მოძრაობას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევთ, იმის აღმოსაფხვრელად საჭირო ზომებს არ ხმარობთ და მხოლოდ ძარცვა - გლეჯაში მონაწილეებს ატუსაღებთო. დეპარტამენტი ავალებს ჟანდარმებს მეტ მხნეობას და დახმარებისათვის სამაზრო პოლიციისათვის მიმართვას, რომელიც უფრო ახლოს დგას მცხოვრებლებთანაო.

✦ **გარეშე სესხი.** გაზ. „რეჩ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება დეპეშით, რომ გარეშე სესხის საქმე ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის, რადგან დღევანდელი დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსა და მთავრობას შორის იქ საკმაო გარანტიად არ მიაჩნიათ და იმ დროს ელიან, როცა ეს დამოკიდებულება უფრო გამტკიცდება.

✦ **კოოპერატიული ამხანაგობანი.** რუსეთის გაზეთებში მოთავსებულია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, რომ სამხრეთ რუსეთში ელისავეტგრადის რაიონში ფეხს იკიდებენ მუშათა კოოპერატიული ამხანაგობანი: ქ. ელისავეტგრადში მუშებს ამხანაგობა შეუდგენიათ სამეურნეო მანქანების ქარხნის იჯარის ასაღებად და იმავე ქალაქში მუშები იღებენ ორ დიდ პურის საცხობსა და საკანდიტროს.

✦ **წესები ქალთა ინსტიტუტში.** გაზ. „ტოვ."-ში მოთავსებულია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რა გულის ამღრევი სასტიკი წესებია რუსეთის ქალთა ინსტიტუტებში, რის შედეგი იყო ამას წინად პეტერბურგის სმოლნი ინსტიტუტში მოწაფე ნადია კანდაუროვის მიერ თავის მოკვლა. მოწაფე ქალი სწერს გაზეთის რედაქციას თავის თავგადასავალს, აწერილი აქვს ის გულის მომწყვლელი „ჩინოვნიკური" წესწყობილება, რომელიც ქალთა ინსტიტუტებში სუფევს. უფროსები იქ გარეგნულ სისუფთავე-სილამაზეს იცავენ და ყოველ ფეხის გადადგმაზე სტანჯავენ ამის გამო მოწაფე ქალებს. მაგალითად მხოლოდ იმისათვის, რომ მოწაფე ქალმა სადილის დროს თავის ამხანაგს ხელსაწმენდი გადაუგდო, საბრალო ქალი სასტიკად დასაჯეს: სტოლებს შუა ფეხზე გააჩერეს, რომ ყველას ეცქირნა მისთვის, უსადილოდ დასტოვეს და იმის ცრემლებს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ამისთანა შემთხვევებით სავსეა ინსტიტუტის შინაური ცხოვრება, სწერს გამოცდილებით ამ ცხოვრების კარგად მცოდნე მოწაფე ქალი.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამ სამიოდე წლის წინად სიღარიბის გამო სწავლას თავი დავანებე და ქვრივ, ჯან-გატეხილ დედის და ო"ოლ და-ძმის შესანახად ხელი მივყე უბრალო მუშაობას. ადგილი ვიშოვნე ამხანაგობის „რექტიფიკატორის"-სასმელების საწყობში. აქ ვმუშაობდი დღე და ღამ, ეს მუშაობა მომეტე"ულად სარდაფებში ხდებოდა . მუდამ ნოტიო ადგილას ყოფნამ და შეხუთულ ჰაერი'ა სუნთქვამ მალე დაასვა ჩემს სისაღეს თავის მამაკვდინებელი დაღი. დამაწყებინა ჩუმი ციება, რომელსაც მალე ზედ დაერთო გული" ტკივილი და ხველება. მეორე წლის ნახევარში ცხადად გამომაჩნდა ჭლექის ნიშნები. პირობის ძალით ამხანაგობას უნდა ეწამლა, მოერჩინა ჩემთვის, მაგრამ ამას ყურადღება არავინ მიაქცია. „რექტიფიკატის" ამხანაგობის ექიმმა გამსინჯა და მითხრა: „წადი შენს სახლში და იქ იწამლეო." მეტი რა ჯანი მქონდა, წამოვედი და ისევ ჩემ ღარიბ-ღატაკ, ღანგრეულ კერას მივაშურე... გამოჩნდნენ გულშემატკივარი ადამიანები. უფასოდ იწყო ჩემთან სიარული ექიმმა კონ. ელიოზიშვილმა და ალ. პოტაპოვმა, ხოლო მათგან გამოწერილ წამლებს უფასოთვე მაძლევდა გორის აფთექის პატრონი ალ. შიხინოვი. უკანასკნელისაგან ამ ცხრა თვის განმავლობაში წამოვიღე წამლები არა ნაკლებ ათის თუმნისა. მართალია, ამ წამლებს ქრისტიანი ადამიანი მუქთად მაძლევდა, მაგრამ მოხსენებული ტფ. ამხანაგო"ა ხომ კანონით მოვალე იყო, რომ ჩემთვის ეწამლა, მოერჩინა. აი, ამ მოსაზრებით ამ წინაზე მივმართე ჩემს მოვალეს და ვთხოვე შვიდი თუმანი, რომლის შესახებ წარვუდგინე წამლების ფასის ანგარიში. არ ვიცი, რა საფუძვლის ძალით, ამხანაგობამ შეწუხებულს, ცალი ფეხით სამარეში მყოფ ავადმყოფს ცივი უარი მითხრა. თხოვნის დროს წარვადგინე შიხინოვის მოწმობა და ამის გამო დაუნიშნეს მას გამოძიება. რაკი აფთექის დავთრებში არ აღმოჩნდა ჩაწერილი ჩემი წამლები, ამისგამო მას დასწამეს სიყალბე და მისი მოწმობა მოტყუების სახელით მონათლეს. მუქთად გაცემულ წამლებს ვინ ჩასწერს საანგარიშო დავთარში? რა მიზანი უნდა ჰქონდეს იმნაირ წამლების ჩაწერას, რომლებშიაც არც ერთი გროში არ აუღიათ? მაგრამ ეს ჩაუწერლობა სრულებითაც ვერ გააქრობს სინამდვილეს, ვერ მოსპობს მას, რაც არა ერთხელ ხდებოდა და მრავლად ხდება დღესაც. შიხინოვის ქველ-მოქმედება გორის ღარიბმა ხალხმა კარგად იცის. თუ ნებავთ, ჰკითხეთ გორელ ქვრივებსა და ობლებს, ხელ-მოკლე მოსწავლე ქალსა და კაცსა. თუ ამ ჩემ ზოგად სიტყვებს ვერ ჩასთვლით ხელმოსაკიდებელ საბუთად, მაშინ კერძოდ დავასახელებ რამდენსამე აქაურ პატივცემულ პირთ და ვითხოვ, რომ ეკითხოთ ამათ მოხსენებული სიტყვების საფუძვლიანობა. ჰკითხეთ მასწავლებელთ: მიხეილ ზაალიშვილს, ნიკო ლომაურს, კოტე გარაყანიძეს, კონსტანტინე ელიოზიშვილს სვიმონ გოგლიჩიძეს და სხვათა. ამათ კარგად იციან ერთის მხრივ შიხინოვის საზოგადო მოქმედება, მეორეს მხრივ—კერძოდ ჩემი მდგომარეობა და ის მხურვალე კაცთ-მოყვარული მონაწილეობა, რომელსაც იღებდა "გი ჩემს უნუგეშო მდგომარეობაში. ვითხოვ „რექტიფიკატორის" ამხანაგობისაგან თავისს პირდაპირ მოვალეობი' შესრულებას: იმ წამლები'ს ფასის გამოგზავნას, რომლებიც ამ ცხრა თვის განმავლობაში დაიხარჯა ჩემზედა. მიჭირს: სიკვდილი შორიდან მიბღვერის, სიღარიბე კი ყოველ წამს თავს დამტრიალებს, ჩამხუტვია და მახრჩობს. თუ რომ „რექტიფიკატის" ამხანაგობა თავის მოვალეობის აღსრულებაზე ამ ჟამადაც უარის თქმით მოინდომებს პასუხის-გებას, მაშინ ზემოდ მოხსენებულ პირთ ვასახელებ ამხ.ნაგურ სასამართლოს წევრებად და ვთხოვ მოხსენებულ ამხანაგობას სამი დღის განმავლობაში დანიშნოს თავის მხრივაც მედიატორენი და ამათ მიენდოთ ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტა.

მუშა ვანო გძელიშვილი.

## დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მაისი

**მოსკოვი.** მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორმა საერო-განათლების მინისტრს დეპეშა გაუგზავნა, რომ გადასცეს ხელმწიფე იმპერატორს უნივერსიტეტის საბჭოს უქვეშევრდომილესი სიხარული მოსალოდნელ განსაცდელისაგან გადარჩენისა გამო. დეპეშაზე ხელი უწერია რექტორს მანუილოვს.

**ლონდონი.** რადიკალური და აგრეთვე უნიონისტური გაზეთები აცხადებენ, რომ ირლანდიის ნაციონალურ კონვენტის გადაწყვეტილება დუბლინში, მთავრობისათვის მეტად სამწუხაროა. ყველანი მოელიან, რომ ბრძოლის მიერ შეტანილ კანონ პროექტს ისევ უკან წაიღებენ. ამერიკელი დელეგატები, რომელნიც დუბლინის ნაციონალურ კონვენტში მონაწილეობას იღებდნენ, აცხადებენ, რომ ამერიკელი ირლანდიელები მხარს დაუჭერენ თავიანთ ინგლისელ ძმებს, თუ ისინი იძულებულნი იქნებიან აქტიურად გაილაშქრონ ინგლისის წინააღმდეგო. ირლანდია ხუთი წლის განმავლობაში ჩუმად იყო. ინგლისს ტყუილად ჰგონია, რომ ირლანდიის ნაციონალური სული გაჰქრა!

**პეტერბურგი.** დამე ნიკოლოოზის რკინის გზის ობუხოვის სადგურს 25 შეიარაღებული კაცი დაეცა. მოჰკლეს ჟანდარმი და დარაჯი და კასის გატეხას შეუდგნენ. მაგრამ სადგურის მორიგემ პირველ სემაფორამდე გაქცევა მოასწრო. დაუძახა სამ პოლიციელს, ორთქლ-მავალზე დასვა და სადგურზე მიიყვანა. უცნობნი გაიქცნენ. ერთი მათგანი დაიჭირა არე-მარე გახჩრიკეს და 20 კაცი დააპატიმრეს.

გრადონაჩალნიკის განკარგულებით დაიკეტა გაზეთი „რუსი".

**მოსკოვი.** ტიხვინსკის ქუჩაზე საპატიმროს მეთვალყურეს ბაიკალოვს 6 შეიარაღებული კაცი დაეცა. ბაიკალოვი დანებით სასიკვდილოდ დასჩრეს. 6 კაცი დააპატიმრეს.

მოსკოვის სემინარიაში, როცა სემინარიის ეკკლესიაში ეპისკოპოსი სწირავდა, ერთ ოთახის ბუხარში აფეთქება მოხდა, არავინ არ დაშავებულა.

**ვორონეჟი.** კალაჩის მცხოვრებნი გუბერნატორს გამოიგებენ და სრული მორჩილება განუცხადეს. 8 მაისს შეიკრიბა 2280 კაცი. მათ მომხდარ შეტაკებისა გამო მწუხარება გამოაცხადეს. გუბერნატორს აუხსნეს, რომ შეტაკება პოლიციასა და გლეხებს შორის მოხდა გარეშე პირთა აგიტაციისა გამოო. სთხოვეს გუბერნატორს, განუცხადოს ხელმწიფეს მათი უქვეშევრდომილესი გრძნობანი და სთხოვოს დამნაშავეთა პატიება. აღუთქვეს, რომ შემდეგში არაფერი რამ არ განმეორდება და სრულ წესიერებას დაიცავთო. 6 მაისის შეტაკება შედეგი იყო ბოქაულის მიერ 11 კაცის დაპატიმრებისა; მათ შორის იყვნენ ს.-დემოკრატებისა; პარტიის თავმჯდომარე, მდივანი და ბიბლიოთეკარი. ისინი პროპაგანდას ეწეოდნენ. დაჭრილი გლეხები ჯერ ცოცხალნი არიან.

**ჩერნიგოვი.** ნოვოზიბკოვოში კაზაკებსა და დარაჯებს ორი უცნობი შეეყარა, დაუძახეს დაღექითო, მაგრამ უცნობები გაიქცნენ და თან სროლა ასტეხეს. კაზაკებმა სროლითვე უპასუხეს, ერთი მოჰკლეს, მეორე-კი მიიმალა. მოკლული იცნეს. იგი გამოდგა ის კაცი, რომელსაც რუსის ხალხის კავშირის თავმჯდომარის რიყაკოვის მოკვლას აბრალებდნენ. ეს მკვლელობა კლინიცაში მოხდა.

**პეტერბურგი** ოქტომბრისტების სრულიად რუსეთის კრებამ მიიღო ორი რეზოლიუცია. ერთში ნათქვამია, რომ სათათბირომ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა და უარჰყოს პოლონეთის ავტონომია. მეორე რეზოლიუციაში აღიარებულია ერთა თანასწორობა, მხოლოდ ებრაელების შესახებ დამატებული აქვს: რადგან რუსეთში არა კულტურული ეკონომიური პირობებია, ებრაელების გათანასწორება რუსებთან ჯერჯერობით შეუძლებელიაო.

9 მაისს რუსის ხალხთა კავშირის სახაიეში ყუმბარა აფეთქდა. არავინ არ დაშავებულა.

**ვარშავა.** 8 მაისს მოჰკლეს მექანიკოსი პრჟიგოდზინსკი და მძიმედ დასჭრეს ღურგალი დეი. მსროლელნი ვერ იპოვნეს. მურანოვის ქუჩაზე აფეთქდა ყუმბარამ.

**პეტერბურგი.** 10 მაისს დილით რევოლვერით დასჭრეს გერგარდის ბამბეულის მანუფაქტურის დირექტორი გოვალდი. მსროლელი—მუშა დაიჭირეს.

**ვიატკა.** ქალაქ გარედ ბაღში რევოლვერით დასჭრეს მაზრის უფროსის თანაშემწე ზუბარევი და ბოქაულის თანაშემწე ვავილოვი.

**ჰელსინგფორსი.** სეიმის ტალმანად (თავმჯდომარედ) აირჩიეს ყოფილი სვინხუვუ, მალდოვინომანთა პარტიის წარმომადგენელი, იურისტი და პოლიტიკური მოღვაწე. ვიცე ტალმანად აირჩიეს ავ ურსინი, ფილოსოფიის დოქტორი, სოციალისტი, და მართინ ნალმენი, ისტორიის პროფესორი, პუბლიცისტი, სტაროფინის პარტიის ერთ ერთი მეთაური.

**თეირანი.** თეირანში დინასტიის (შაჰის გვარი) საწინააღმდეგო პროკლამაცია გამოუშვეს. თავრიზში არეულობა გრძელდება. კერმანშაჰ'ა და შირაზში სრული უწესოება. მეშტში მცხოვრებლებმა რევოლიუციონერებთან ერთად ტამოჟნა და ტელეგრაფის მუშაობა შესწყვიტეს.

**ლოძი.** ზახოდნი ქუჩაზე დღის 3 საათზე სამმა უცნობმა ხანჯლებით მოჰკლეს პოზნანსკის მანუფაქტურის სატეხნიკო ნაწილის დირექტორი დავით როზენტალი.

**თეირანი.** ძირითადი კანონების დამატებათა შედგენის დროს მეჯლისის წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ყველა ხალხის უფლებათა გათანასწორებას.

შაჰის ძმა, ლურისტანის გამგე მეომარ, უსხლ-კართდ მოდიდიადე ხალხს აღელვებს და მათგან შეიარაღებულ ჯარს ადგენს.

**პეტერბურგი.** გაძლიერებული დაცვა გაგრძელებული იქნება 1908 წლის 27 იანვრამდე ტავრიდის გუბერნიაში, 1908 წლის 10 მაისამდე პერმში, ეკატერინბურგში, სოლიკამსკში, ოხანსკში ოსში, კუნგურში, კრასნო-უფიმსკში, ვერხოტუროვში და ირბიტში, აგრეთვე პერმის გუბერნიის ქარხნებში.

საერო განათლების მინისტრმა ნება დართო კერძო სასწავლებლებში 11 წლისაზე უფრო ჰასაკოვან ქალ-ვაჟი ერთად ასწავლონ ხოლმე. დღემდე მხოლოდ ორივე სქესის ერთად სწავლება 11 წლამდე შეიძლებოდა.

რედაქტორ-გამომცემელი

ივ. ი. მჭედლიშვილი.

## განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანახოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვების.

**ჩ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. **პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. გარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შერნინა:** 1½—2 საათამ. საზებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურჯინოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საზებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ზ. ა. ნავასარდიანი.

(150—ხალ.—72)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თავისუფური ვაჭრობამ უმაღლეს კულტურამდე განვავითარე კეფირი, ქვეყანას შეუძლია დარწმუნდეს, რომ

**კეფირი**

**ო. კორონის**

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო გა ყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამი მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმსუქნე და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—7) პატივ. **ო. კორონი.**



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორივე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არ აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს ეფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ, д. 15, и 5. (100—71—8)

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა ფეხსაცმელების სახელოსნო

**„იმედი"**

მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა. სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველს ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)

**ახალი წიგნი**

**„ჭეშმარიტი სოციალისტი და ჩვენებური სოციალდემოკრატია"**

ტ. ართმელაძისა, ფასი 10 კაპ.

იყიდება ამავე ავტორის შემდეგი წიგნები:

„სადღეისო საუბარი სოფლელ მკითხველებს" . . . . . . 20 კ.

„მეთაურთა უმეტესობის უთაურობა და ჩვენებურ მებრძოლ ხალხის პირველი დამარცხება" . . . . 10 კ.

„ბრძოლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შეპარულ ნაკლულევანებასთან" . . . . . 35 კ.

„წერილი სოფლელ მუშას" . . 5 კ.

„სადღეისო წერილი ქართველ სოფლელებს. . . . . . 5 კ.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძეს. (7—72—8)

**ტფილისის ქალაქის**

**გამგეობა**

აცხადებს, რომ იგი ქირით აძლევს მოორჯერ მეორედ მიღებული ორსართულიან აბესალომოვისეულ სახლს, რომელიც დღეს ქალაქ ტფილისს ეკუთვნის. სახლი შეიცავს ოთხ ოთახს ზემოთა სართულზე და ხუთ ოთახს ქვემოთა თავის სამზარეულოებით და სხვა მოწყობილებებით. პირობების გაგება შეიძლება გამგეობის მეოთხე განყოფილებაში ყოველ დღე, უქმე დღეებს გარდა, 11-დან 2 საათამდე. (3—5—3)